

## პიროვნების დაცვის საერთოევროპული სამართლებრივი სტანდარტები პერსონალური მონაცემების ავტომატიზებული დამუშავებისას

**მათა ცერცვაძე**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### ანოტაცია:

სტატია ეძღვნება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს პერსონალური მონაცემების ავტომატიზებული დამუშავებისას. გაანალიზებულია 108-ე კონვენციის სახელით ცნობილი პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებითპიროვნებათა დაცვის შესახებ კონვენციის ძირითადი დებულებები, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ მსოფლიო მნიშვნელობის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს. ავტორი განიხილავს აგრეთვე კონკრეტულ სფეროებში კონვენციის დებულებების ასამოქმედებლად ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერMმიღებულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება ევალებათ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს ევროპის საბჭოს წესდების მე-15b მუხლის შესაბამისად, აგრეთვე ამ რეკომენდაციათა მნიშვნელობას საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** პერსონალური მონაცემები, პერსონალური მონაცემების ავტომატიზებული დამუშავება, ევროპის საბჭო, 108-ე კონვენცია, ევროპის საბჭოს რეკომენდაციები.

ადამიანის პირადი უფლებების, ასევე სოციალური უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები დიდი ხანია საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების უმნიშვნლოვანესი ობიექტია. მათ ეძღვნება უამრავი სხვადასხვა ფორმის, მნიშვნელობისა და შინაარსის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, რომელთა შორისაა გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვ.

საერთაშორისო აქტებით დგინდება და მყარდება გარკვეული უნივერსალური თუ რეგიონალურ-კონტინენტური, მაგალითად, ევროპული, სამართლებრივი სტანდარტები.

სტანდარტი (ინგლ. *standard* – ნორმა, ნიმუში, საზომი) ფართო გავებით, ნიშნავს ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტს, რომელიც ადგენს ნორმების, წესების, მოთხოვნების კომპლექსს სტანდარტიზაციის ობიექტისათვის და რომელსაც ამტკიცებს კომპეტენტური ორგანო.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დამკვიდრებულ ევროპის სტანდარტებში იგულისხმება ევროპის თანამეგობრობის მიერ აღიარებული და მის დოკუმენტებში გამყარებული ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეხება ადამიანის სასიცოცხლო უფლებებს, აგრეთვე მათი პრაქტიკული უზრუნველყოფის, დაცვისა და გარანტიის

მექანიზმები. ამჟამად მიმდინარეობს უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში ევროპული სტანდარტების შინაარსის გაფართოება და გაღრმავება და იგი საერთაშორისო მორალისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ძალასა და ფორმას იძენს.

ევროსტანდარტების შემუშავებისა და დამკვიდრებისათვის უმნიშვნელოვანესი ევროპული ორგანიზაცია ევროპის საბჭო. ევროპის საბჭო წარმოადგენს იმ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ინტენსიურად მუშაობს და ამკვიდრებს საერთოევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. მის წესდებაში ნათქვამია:

### **"მუხლი 1"**

ა. ევროპის საბჭოს მიზანია მიაღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის იმ იდეალებისა და მიზნების დაცვისა და განხორციელების მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და ხელს უწყობენ მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

б. ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული საბჭოს ორგანოების მიერ საერთო საკითხების განხილვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე შეთანხმებით და საერთო ზომების მიღებით, და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შენარჩუნებითა და შემდგომი განხორციელებით".

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა და არახსულმა განვითარებამ (მეცნიერული მიღწევები მედიცინასა და ბიოლოგიაში, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაში...), რაც თავისთავად, რა თქმა უნდა, დადებითი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს, შექმნა მრავალი საფრთხის საშიშროება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ადამიანის უფლებებების დაცვის კონტექსტში მეცნიერული მიღწევების გავლენის მრავალმხრივი ანალიზი და შესაბამისი სამართლებრივი რეგლამენტაცია როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

ფრანსუა რაბლეს სიტყვები "პანტაგრუელიდან": "მეცნიერება გააზრების გარეშე ღუპავს სულს", რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული ევროპის საბჭოს ინტერნეტ-საიტის შესაბამის გვერდს, ხატოვნად განმარტავს მეცნიერების განვითარების შედეგების ადამიანის უფლებების კონტექსტში განხილვის აუცილებლობას, რასაც წარმატებით ახორციელებს ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, როგორც ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამაკვიდრებელი ორგანიზაცია, აცნობიერებს რა ზემოაღნიშნულ პრობლემათა მნიშვნელობას, შეიმუშავებს შესაბამის საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებს. მათ შორის უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ორი, შეიძლება ითქვას, ერთი სულისკვეთების მქონე კონვენცია: "კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ" (1997წ.), რომელიც წარმოადგენს ბიოლოგიისა და მედიცინის ძველ და უმეტესწილად, ახლად განვითარებულ სფეროებთან კონტექსტში ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვისათვის მიმართულ ჩარჩო დოკუმენტს და "კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებითპიროვნებათა დაცვის შესახებ" (1981წ.), რომელიც ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებს პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებით.

სამართლებრივი თვალსაზრისით, პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფიზიკური ან იურიდიული პირის იდენტიფიცირება-პერსონიფიცირება.

ათიოდე წლის წინ პერსონალურ მონაცემებში გულისხმობდნენ მხოლოდ ადამიანის გვარსა და სახელს, მისი დაბადების ადგილსა და თარიღს, საცხოვრებელ მისამართსა და მოგვიანებით ტელეფონის ნომერს, დღეს კი უკვე საუბრობენ როგორც ფიზიკური პირის, ასევე იურიდიული პირის პერსონალურ მონაცემებზეც.

ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებში გულისხმობენ მის ბიოგრაფიასთან, ქონებასთან, ჯანმრთელობასთან, მიმოწერასთან, სამეწარმოო თუ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, იურიდიული პირის პერსონალურ მონაცემებში კი მოიაზრება მის სამეწარმეო თუ არავომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ფიზიკური თუ იურიდიული პირის პერსონალური მონაცემების თანამედროვე კომპონენტებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მათი ელექტრონული ფოსტის (e-mail) და ინტერნეტ-მისამართები.

დემოკრატიული საზოგადოება საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს, თუ როდისაა პერსონალური მონაცემები ღია და საიდუმლო, რა პრინციპების საფუძველზე წარმოებს ამ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რათა ადამიანის პირადი ცხოვრება თუ იურიდიული პირის საქმიანობა საკმარისად იქნას დაცული არამართლზომიერი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

პიროვნების დაცვა პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. ეს პერიოდი ხასიათდება ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით (პერსონალური კომპიუტერი თანდათან იქცა ძირითად სამუშაო იარაღად ადამიანური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში), რამაც პერსონალური მონაცემების მძლავრი ავტომატიზებული დამუშავების საშუალება მოგვდა, შედეგად კი გაიზარდა მათი არაკანონიერი შეგროვების, გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრებს გარეთ გადაცემის შესაძლებლობანი. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ევროპის საბჭომ გადაწყვიტა შეემუშავებინა სპეციალური პრინციპები და ნორმები, რომლებიც დაიცავდა პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებებს. 1973 და 1974 წლებში მიღებულ იქნა რეზოლუციები (73) 22 და (74) 29, რომელთა მიზანი იყო მათ საფუძველზე ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბება და რომლებიც ადგენდნენ პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს კერძო და სახელმწიფო სექტორებში არსებული მონაცემთა ავტომატური ბანკებისთვის. ამასთან რეზოლუციათა ტექსტებზე მუშაობისას ცხადი გახდა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა უფრო ეფექტურად განხორციელდებოდა საერთაშორისო ნორმებთან ეროვნული ნორმების ჰარმონიზაციით. ასეთი გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრების კონფერენციამ 1972 წელს გამოიტანა, დაიწყო მზადება სპეციალური კონვენციის შესამუშავებლად.

ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული 108-ე კონვენცია - “კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებითპიროვნებათა დაცვის შესახებ” ხელმოწერილ იქნა 1981 წლის 28 იანვარს სტრასბურგში ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ და დღემდე წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის პირველ იურიდიულ საერთაშორისო დოკუმენტს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს არა-წევრი სახელმწიფოებისთვისაც. საქართველომ აღნიშნულ კონვენციას ხელი 2001 წლის 21 ნოემბერს მოაწერა.

კონვენცია შედგება პრეამბულისა და შვიდი თავისაგან. იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის (1950წ.) ორ ფუნდამენტურ დებულებას, რომელთაგან პირველი (მუხლი 8) ე.წ. "ფრაივესის" (ინგლ. *privacy* – განმარტოება, თავის თავთან დარჩენა) - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაა, და ადგენს, რომ "1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავისი პირადი და საოჯახო ცხოვრების, სახლისა და მიმოწერის პატივისცემა. 2. საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონის შესაბამისად ეს დასაშვებია და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის", ხოლო მეორე წარმოადგებს დებულებას (მუხლი 10) ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანუ ადგენს გამოხატვის თავისუფლებას: "1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინონაწარმოების ლიცენზირება. 2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაეჭვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს და სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან აცილებისა და სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის".

108-ე კონვენციის პირველ თავში (მუხლი 1- "საგანი და მიზანი") განმარტებულია, რომ:

"ამ კონვენციის მიზანია მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა მათი პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებით ("მონაცემების დაცვა")."

ამავე თავში მოყვანილია ზოგიერთი ტერმინის განმარტება. ასე, მაგალითად, განმარტებულია, რომ "პერსონალური მონაცემები" ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ("მონაცემების სუბიექტის") იდენტიფიკაციასა ან პერსონიფიცირებასთან; "ავტომატიზებული მონაცემების ფაილი" ნიშნავს ავტომატიზებულ დამუშავებას დაქვემდებარებულ მონაცემთა კრებულს; ხოლო "ავტომატური დამუშავება" თავის მხრივ, გულისხმობს ოპერაციებს, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ სრულდება ავტომატიზებული საშუალებების მიერ: მონაცემების შენახვას, ლოგიკური და/ან არითმეტიკული ოპერაციების განხორციელებას ამ მონაცემებზე, მათ შეცვლას, წაშლას, აღდგენას და გავრცელებას.

კონვენციის მეორე თავი ("მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები") ავალდებულებს მონაწილე მხარეებს გამოიყენენ ეს კონვენცია ავტომატიზებული

პერსონალური მონაცემების ფაილებისა და პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისათვის სახელმწიფო და კერძო სექტორებში. იგი განსაზღვრავს მონაცემების სათანადო წესით და კანონიერად შეგროვებისა და გამოყენების ძირითად პრინციპებს.

ვფიქრობთ, ამ პრინციპებიდან უმთავრესია ის, რომ პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კანონიერად (მართლზომიერად) კონკრეტული განსაზღვრული მიზნით და დაუშვებელია მათი გამოყენება სხვა მიზნით. ასე, მაგალითად, სტატისტიკური მიზნებით შეგროვებული მონაცემები არ შეიძლება გამოვიყენოთ სადაზღვევო მიზნებისათვის და პირიქით.

პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, შეგროვების მიზნების ადექვატური და არ უნდა ინახებოდეს უფრო დიდხანს, ვიდრე ეს საჭიროა კონკრეტული მიზნისთვის (მუხლი 5).

კონვენცია აწესებს მონაცემთა სპეციალურ კატეგორიებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან დამუშავებას. კერძოდ, მე-6 მუხლის თანახმად „პერსონალური მონაცემები, დაკავშირებული რასობრივ წარმოშობასთან, პოლიტიკურ თან რელიგიურ ან სხვა რწმენასთან, ისევე როგორც პერსონალური მონაცემები, რომლებიც შეეხებიან ჯანმრთელობას და სექსუალურ ცხოვრებას, არ ექვემდებარებიან დამუშავებას გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებისთვისაც საშინაო კანონი ითვალისწინებს შესაბამის გარანტიებს. იგივე შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს“. სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში მონაცემთა ეს კატეგორია ცნობილია “განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალური მონაცემების” სახელწოდებით.

108-ე კონვენციის მე-7 მუხლი ეხება მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს. „ავტომატიზებულ მონაცემთა ფაილებში შენახული პერსონალური მონაცემების დაცვისათვის მიღებული უნდა იქნას შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რათა არ მოხდეს მათი არამართლზომიერი ხელყოფა ან შემთხვევითი დაკარგვა, ისევე როგორც არასანქციონირებული შეღწევა, შეცვლა და გავრცელება“.

კონვენცია აწესებს დამატებითი გარანტიებს მონაცემთა სუბიექტებისათვის და ნებისმიერ პიროვნებას აძლევს უფლებას:

„დაადგინოს როგორც ავტომატიზებული პერსონალური მონაცემების ფაილის არსებობა და მისი ძირითადი მიზნები, ასევე ფაილის კონტროლერის პიროვნება („ფაილის კონტროლერი“) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანიზაცია, სააგენტო ან სხვა ორგანო, რომელიც ეროვნული კანონის თანახმად კომპეტენტურია განსაზღვროს, თუ რა არის ავტომატიზებული მონაცემების ფაილის მიზანი, პერსონალური მონაცემების რა კატეგორია უნდა იქნეს შენახული და რა ოპერაციები უნდა განხორციელდეს მათზე), მისი ჩვეული რეზიდენცია და საქმიანობის ძირითადი ადგილი“ (მუხლი 8).

108-ე კონვენცია ადგენს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლებში (მუხლები 5,6,8) გადმოცემული დებულებების მიმართ გამონაკლისები და შეზღუდვები შეიძლებაა დაწესდეს მხარის საშინაო კანონის მიხედვით და იგი წარმოადგენს აუცილებელ ზომას მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებისათვის: „ა) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს მონეტარული ინტერესების ან დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად; ბ) მონაცემთა სუბიექტის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

მეორე თავშივე გადმოცემულია სანქციების დაწესებისა და დაცვის გაფართოებისადმი მიძღვნილი დებულებები. თითოეული მხარე მოვალეა დაადგინოს შესაბამისი სანქციები და ღონისძიებები იმ საშინაო კანონის დებულებების

დარღვევისათვის, რომელიც ახორციელებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს (მუხლი 10), რაც შეეხება დაცვის გაფართოებას, იგი იმაში მდგომარეობს, რომ “ამ თავის არც ერთი დებულება არ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც შეზღუდვა ან სხვაგვარი ზემოქმედება მხარის შესაძლებლობაზე უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტების დაცვის უფრო ფართო ზომები, ვიდრე გათვალისწინებულია კონვენციაში” (მუხლი 11).

108-ე კონვენციის მესამე თავში განხილულია მონაცემების ტრანსსასაზღვრო ნაკადის საკითხები, კერძოდ აღნიშნულია, რომ “პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ერთადერთი მიზნით მხარემ არ უნდა აკრძალოს ან დაუქვემდებაროს პერსონალური მონაცემების სპეციალურ სანქციონირებულ ტრანსსასაზღვრო ნაკადს, რომელიც ხდება სხვა მხარის ტერიტორიაზე” (მუხლი 12).

კონვენცია აწესებს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პირობებს ამ კონვენციის მიზნებისათვის (თავი მეოთხე - ”ურთიერთდახმარება“). ამ პირობების თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს ერთი ან მეტი უფლებამოსილი ორგანო, რომელთაგან თითოეულის სახელს და მისამართს შეატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს; მხარის მიერ დანიშნულმა ორგანომ მეორე მხარის მიერ დანიშნული ორგანოს მოთხოვნაზე უნდა:

“ა მიაწოდოს ინფორმაცია მისი კანონისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესახებ მონაცემთა დაცვის საკითხში:

ბ საშინაო კანონის შესაბამისად და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ერთადერთი მიზნით მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა მის ტერიტორიაზე მიმდინარე სპეციალურ ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებული ფაქტიური ინფორმაციის მისაწოდებლად მხოლოდ დამუშავებული პერსონალური მონაცემების გამოკლებით” (მუხლი 13).

კონვენცია უყურადღებოდ არ ტოვებს დახმარების საკითხებს უცხოეთში მცხოვრებ მონაცემთა სუბიექტებისათვისაც.

თითოეული მხარე უნდა დაეხმაროს უცხოეთში მცხოვრებ N-ნებისმიერ პიროვნებას განახორციელოს იმ შიდა კანონით განსაზღვრული უფლებები, რომელშიც იმპლემენტირებულია კონვენციაში გადმოცემული პრინციპები. კონვენციის ხელმომწერ მხარეთა თანამშრომლობა ამ საკითხში ქმნის ემიგრაციაში მყოფი მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის გარანტიას, რაც განსაკუთრებით აქტუალურად გვესახება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით დღევანდელი მძლავრი მიგრაციული პროცესების პირობებში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ კონვენცია გვერდს არ უვლის უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილ დახმარებასთან დაკავშირებული გარანტიების მნიშვნელოვან საკითხს. (მუხლი 15). მხარის მიერ უფლებამოსილმა ორგანომ, რომელმაც მიიღო ინფორმაცია სხვა მხარის უფლებამოსილი ორგანოსაგან, როგორც თანმხლები მოთხოვნა დახმარებისათვის, ასევე პასუხი საკუთარ მოთხოვნაზე, არ უნდა გამოიყენოს ეს ინფორმაცია სხვა მიზნით, გარდა იმ მიზნისა, რომელიც მითითებულია დახმარების შესახებ მოთხოვნაში. თითოეულმა მხარემ თვალი უნდა ადევნოს იმას, რომ პიროვნებები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან მოქმედებენ უფლებამოსილი ორგანოს სახელით, აღჭურვილნი იყვნენ საიდუმლოებისა და კონფიდეციალობის შესაბამისი ვალდებულებებით ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ნება მიეცეს უფლებამოსილ ორგანოს მოითხოვოს დახმარება უცხოეთში მცხოვრები მონაცემთა სუბიექტის სახელით მისი საკუთარი სურვილით და ამ პიროვნების მიერ გამოხატული თანხმობის გარეშე.

კონვენციის მე-16 მუხლი განსაზღვრავს დახმარების შესახებ თხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს.

უფლებამოსილ ორგანოს, რომელსაც მიმართეს თხოვნით დახმარებისათვის არ შეუძლია უარი თქვას მის შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

“მოთხოვნა არ შეესაბამება იმ უფლებამოსილი ორგანოს შესაძლებლობას მონაცემების დაცვის სფეროში, რომელიც პასუხისმგებელია პასუხზე;

ბ) მოთხოვნა არ შეესაბამება ამ კონვენციის დებულებებს;

გ) თანხმობა მოთხოვნაზე შეუთავსებელია იმ მხარის სუვერენიტეტთან, უშიშროებასთან ან სახელმწიფო პოლიტიკასთან, ვის მიერაც ის იქნა განსაზღვრული ან მხარის იურისდიქციის ქვეშ მოქცეული პიროვნებების უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან”.

“კონვენციამ პერსონალური მონაცემების ავტომატიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებითპიროვნებათა დაცვის შესახებ” დააწესა საკონსულტაციო კომიტეტი (თავი მეხუთე - “საკონსულტაციო კომიტეტი”), რომელიც შედგება კონვენციის მხარეთა წარმომადგენლებისაგან. იგი პასუხისმგებელია განმარტოს დებულებები კონვენციის მოქმედების უზრუნველსაყოფად და მის ფუნქციებში შედის წინადადებების შემუშავება კონვენციის გამოყენების გაადვილებისა და გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე კონვენციის შესწორებებისათვის. მხარის მოთხოვნით საკონსულტაციო კომიტეტს შეუძლია გამოხატოს აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება კონვენციის გამოყენებას.

აღნიშნული საკონსულტაციო კომიტეტის წარმატებული საქმიანობის მაგალითად შეიძლება დასახელდეს სახელმწიფოებს შორის მონაცემების ტრანსსასაზღვრო ნაკადის გაადვილების ხელშეწყობის მიზნით მის მიერ ევროპის თანამეგობრობასა და საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან ერთად 1992 წელს შემუშავებული მოდელური კონტრაქტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება კერძო ოპერატორების მიერ.

კომიტეტმა ასევე მიიღო 108-ე კონვენციის შესწორება, რომლითაც ნება დართო ევროპის თანამეგობრობას შეერთებოდა მას. გარდა ამისა, კომიტეტმა შეიძლება კონვენციის დამატებითი ოქმის პროექტი ხელისუფლების მეთვალყურე ორგანოებისა და მონაცემების ტრანსსასაზღვრო ნაკადების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 2001 წლის 8 ნოემბერს.

კონვენციის მექანიზმები და მეშვიდე თავები შეეხება შესაბამისად შესწორებებსა და დასკვნით დებულებებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ საზოგადოების კომპიუტერიზაციის პროცესი არნახული ტემპით განვითარდა. ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტად დაექვემდებარა სახელმწიფო თუ კერძო სექტორების მიერ გაწეულ ისეთ მომსახურეობებს, მაგალითად საბანკო, სოცუზრუნველყოფის, დასაქმების, დაზღვევის, სტატისტიკის, ჯანდაცვის, ტელეკომუნიკაციის და სხვა სფეროებში, რომლებიც ხორციელდება მართვის კომპიუტერიზებული საშუალებებით. ამან დღის წესრიგში კვლავ დააყენა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და კერძოდ, პერსონალური მონაცემების სამართლებრივი დაცვის ახალი პრაქტიკული ამოცანები. უდავოა, მონაცემები ამ სფეროებში უნდა შეგროვდეს და გადაიცეს კონვენციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, მაგრამ ბუნებრივია ამის გზები და საშუალებები იქნება განსხვავებული. ზოგიერთ სექტორში ისინი შეიძლება იყოს უფრო მოქნილი, ვიდრე სხვაში და თვითორეგულირებაც უფრო სრულყოფილი, ვიდრე მეორეში. ამიტომ ყველა ამ სფეროში კონვენციის ძირითადი პრინციპები უნდა იქნას გადასინჯული და გადახალისებული. ევროპის საბჭომ ამ მიზნით ამჯობინა არა შესწორებების და დამატებითი ოქმების, არამედ რეკომენდაციების შემუშავება მთავრობებისადმი.

ევროპის საბჭოს წესდების მიხედვით „შესაბამის შემთხვევაში კომიტეტის (იგულისხმება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი - ავტორის შენიშვნა) გადაწყვეტილებებს შეიძლება მიეცეთ სახელმწიფოების მთავრობებისათვის რეკომენდაციების ხასიათი და კომიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შეატყობინონ მას იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაატარეს (მუხლი 15. b).“

რეკომენდაციებს მიღებას აქვს ის უპირატესობა, რომ უფრო იოლია მათი შედგენა, მიღება და შესრულება: წევრი სახელმწიფოების მიერ ხელმოწერისა და რატიფიკაციის ნაცვლად, ისინი საჭიროებენ მხოლოდ მინისტრთა კომიტეტის მიერ ერთსულოვან მიღებას. ამიტომაც უფრო ადვილია მათთვის შეცვლილი გარემოებების მისადაგება, ვიდრე კონვენციის შესწორებათა მიღება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იურიდიულად სავალდებულო ძალის არ არიან, მათი მნიშვნელობა მაინც საკმაოდ დიდია, ვინაიდან წარმოადგენენ ფუნდამენტურ სტანდარტებს, დადგენილს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი კონვენციის მხარეები. ამიტომა, რომ რეკომენდაცია ადგენს მოთხოვნას კეთილსინდისიერად იქნას განხილული კონვენციაში გადმოცემული პრინციპების ინტერპრეტაციის შესაძლებლობანი შიდა კანონმდებლობის შემუშავებისა და ამოქმედებისას.

რეკომენდაციათა შესამუშავებლად, რომელიც იურიდიულ გამოცდილებასთან ერთად დამატებით ითხოვს რეკომენდაციაში განხილული საგნის სპეციფიკის ცოდნას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1976 წელს დაარსა მონაცემთა დაცვის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა მონაცემთა დაცვის საპროექტო ჯგუფად. იგი შედგება 41 წევრი სახელმწიფოს ექსპერტებისგან, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მონაცემთა დაცვაზე თავიანთ ქვეყნებში. სექტორული რეკომენდაციების საკითხის განხილვისას ზოგჯერ მათ ახლავთ კონსულტანტები - განსახილველი სექტორის სპეციალისტები. პროცესში შეიძლება მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ტრადიციული პროფესიული ორგანიზაციები და არასამთავრობო ასოციაციები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ. რეკომენდაციების შემუშავებისას იმ დარგებში, სადაც ის კომპეტენტურია, მონაწილეობს აგრეთვე ევროგაერთიანებაც.

საკონსულტაციო კომიტეტი და საპროექტო ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობენ, ამასთან მათი საქმიანობა ერთმანეთისგან გამიჯნულია: საკონსულტაციო კომიტეტი კონვენციის კურატორი და გამგებელია, ხოლო საპროექტო ჯგუფი შეიმუშავებს მეტწილად ტექნიკურ და დეტალურ დირექტივებს სხვადასხვა სფეროებში.

წლების განმავლობაში საპროექტო ჯგუფმა არამარტო შეიმუშავა რიგი რეკომენდაციები, არამედ გამოსცა ნაშრომები სპეციფიკური სუბიექტების შესახებ მონაცემთა დაცვის სფეროში.

აღნიშნულ რეკომენდაციათა დირექტივები, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ 108-ე კონვენციის დებულებების კონკრეტიზაციას სხვადასხვა სფეროებში და ამიტომ მათ გააჩნიათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს რეკომენდაციებია:

სამედიცინო მონაცემთა ბანკების შესახებ (1981); სამეცნიერო და სხვა სტატისტიკური კვლევების შესახებ (1983); პირდაპირი მარკეტინგის შესახებ (1985); სოციალური უზრუნველყოფის შესახებ (1986); პოლიციური ჩანაწერების შესახებ (1986); დასაქმებასთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ (1989); ფინანსური ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული ტრანსაქციების შესახებ (1990); საჯარო ხელისუფლების მიერ მონაცემების მესამე პირთათვის გადაცემის შესახებ (1991); ტელესაკომუნიკაციონ, კერძოდ, სატელეფონო მომსახურებაში პერსონალური მონაცემების შესახებ (1995);

სამედიცინო და გენეტიკური მონაცემების დაცვის შესახებ (1997); სტატისტიკური მიზნებით შეგროვებული და დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (1997); სადაზღვევო მიზნებით შეგროვებული და დამუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (2002).

უკანასკნელ ათწლეულში მომხდარმა საინფორმაციო რევოლუციამ, რომელიც გამოიწვია კომპიუტერული ტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის სფეროების წყვილად განვითარებამ, სათავე დაუდო ახალი ტექნოლოგიების - მულტიმედიისა და ინტერნეტის განვითარებას, რამაც საზოგადოების გლობალიზაცია და ვირტუალიზაცია გამოიწვია. პიროვნებათა შესახებ ჩანაწერების შენახვა სხვადასხვა მიზნებით და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორების მიერ არასოდეს ყოფილა ისეთი ადვილი, როგორც დღეს ამ ახალი ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების სიადვილის წყალობით. ამ კონტექსტში ევროპის საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაცია ინტერნეტში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვასთან დაკავშირებით (1995). ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ რეკომენდაციაზე პლასტიკური საკრედიტო ბარათების უნაღდო ანგარიშსწორებისათვის მოქმედებაში შემოღებასთან დაკავშირებით.

პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში ევროპის საბჭოს მოღვაწეობის კეთილმყოფელი გავლენა გამოიხატა იმითაც, რომ მონაწილე-სახელმწიფოთა უმრავლესობამ ან უკვე მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა ან მათი ჩამოყალიბების პროცესშია.

რაც შეეხება საქართველოს, მისი ამჟამინდელი კანონმდებლობა ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს და შესაბამისი დებულებები გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 20, სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 157-158-159, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 13, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 18, კანონი სტატისტიკის შესახებ, მუხლი 12, კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ, მუხლი 15, კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 22...). ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა საბაზო კანონპროექტი “პერსონალური მონაცემების შესახებ”, რომლის მიზანია “ფიზიკური პირების პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის, აგრეთვე იურიდიული პირების საქმიანობის არამართლზომიერი ჩარევისაგან დაცვისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემებზე მუშაობისას”. ამავე დეპარტამენტის მიერვე შემუშავებულია კანონპროექტები “საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, “საქართველოს ორგანულ კანონში სახალხო დამცველის შესახებ დამატებების შეტანის შესახებ” და “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ”.

აღნიშნული კანონპროექტების ანალიზი ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობის კონტექსტში სცილდება ჩვენი სტატიის ფარგლებს და ის ცალკე განხილვის საგნად გვესახება, მნიშვნელოვნად ვთვლით აგრეთვე ევროსაბჭოს შესაბამის რეკომენდაციებთან მიმართებაში საქართველოს დარგობრივი კანონების (“საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ”, “საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ”, “საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ”, “საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ”, “საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ”, “საქართველოს კანონი ჯანმრთელობის შესახებ” და სხვ.) განხილვას, და მათში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების

შეტანის, ასევე ახალ ტექნოლოგიებთან (ინტერნეტი) დაკავშირებული კანონპროექტების მომზადების საკითხებს, რაც, ვფიქრობთ, ძალზე აქტუალურია და მაღალ უნდა დადგეს დღის წესრიგში.

ევროსაბჭოს რეკომენდაციები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია (მაგალითად, რეკომენდაციები ტელესაკომუნიკაციო, კერძოდ, სატელეფონო მომსახურებაში პერსონალური მონაცემების შესახებ, ინტერნეტში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვასთან დაკავშირებით და სტატისტიკური მიზნებით შეგროვებული და დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ) ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის არასტატუტარული საშუალებების - პროფესიონალური ეთიკისა და პრაქტიკის კოდექსების დანერგვასაც. საქართველოში მათი შემუშავება და ამოქმედება სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ (ამჟამად საქართველოში არსებობს საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის) შესაბამის საკანონმდებლო ნოვაციებთან ერთად ხელს შეუწყობს პერსონალური მონაცემების დაცვისა და ფუნდამენტური ფასეულობის - პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპის განხორციელებას. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების აღიარება და დამკვიდრება კი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში დღეისათვის ცალკეულ ევროპულ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების დონისა და სამართლის უზენაესობის ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმია.

#### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია. გამომცემლობა „სამშობლო“. თბილისი. 1996წ.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი. 1997წ.
3. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი. გამომცემლობა „სამართალი“. 1997წ.
4. მ. ცაცანაშვილი. ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი. გამომცემლობა "ტექინფორმი". 1999.
5. ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. 1998წ.
6. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი, 1998წ.
7. გ. კინაძე, გ. ჯავაშვილი, ა. ბარკალაია. საქართველოს კანონმდებლობა ადამიანის უფლებების შესახებ ბიომედიცინის სფეროში. საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების გამოცემა. თბილისი. 2001წ.
8. კომპიუტერული პროგრამა „კოდექსი“ (საქართველოს კანონმდებლობა).
9. С.А.Горшкова. Стандарты Совета Европы по правам человека и российское законодательство. Москва. Издательство «НИМП».2001г.
10. И.Л.Бачило. Информационное право. Издательство «ЮРИНФОРМЦЕНТР». Издание г-на Тихомирова М.Ю. Москва. 2001г.
11. [13. http://www.coe.fr.](http://www.coe.fr)

მიღებულია: 15.12.2002